ხელშეკრულება №76
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ახალციხე **08 ნოემბერი 2011 წელი**

ერთის მხრივ, **სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია** ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, (საიდენტიფიკაციო ნომერი 224067961, სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის №200122900, კოდი 220101222, მისამართი 0800, ქ. ახალციხე, პაატა ნათენაძის ქ. №54) წარმოდგენილი **სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ლაშა ჭკადუას** სახით, (შემდგომში **„შემსყიდველი“**) და მეორეს მხრივ, **შპს „თეგეტა მოტორსი“** (საიდენტიფიკაციო ნოერი 202177205, სს „თიბისი ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი TBCBGE22, ა/ანგარიშის №GE80TB0600000024467853; მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი VI კვარ. კორპ. 22ბ.), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის - **გიორგი მშვილდაძის** სახით (შემდგომში **„მიმწოდებელი“),** ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილი სახსრებით ავტომანქანის (ტოიოტა ლენდ კრუიზერ 100) საბურავების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: 4 ცალი საბურავი HANKOK 275/70R16RV08 (შემდგომში „საქონელი“). (CPV კოდი 34351100)

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1320 (ათასსამასოცი) ლარს.

4. საქონლის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

5.2. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2011 წლის 10 ნოებრამდე.

5.3. საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები/ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის/ წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს ამ ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის დასტურად.

6.3. საქონლის მიწოდება დასრულებულად ჩაითვლება მიღება – ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

6.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელის (მისი ნაწილის/ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან დანაკლისის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მძღოლი ზაზა ბიზიკაშვილი.

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

8.2. საქონლის ღირებულების ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება, საქონლის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. და 6.1. პუნქტებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

9.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

9.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს სათანადო ხარისხის საქონელი.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. თითოეული მხარე ვალდებულია ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში, ამათგან თითოეულმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში. მხარე, რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყონებლივ იზრუნოს მის აღმოფხვრაზე.

10.3. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

10.4. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.5. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 21 ნოემბრამდე.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ გვერდზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. *მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები*

შემსყიდველი:

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია, (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში)

ქ. ახალციხე პაატა ნათენაძის ქ. №54
ს/ნ 224067961, სახელმწიფო ხაზინა,
კოდი – 220101222; ა/ნ 200122900;

სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი

ლაშა ჭკადუა

ბ.ა.

მიმწოდებელი:

შპს „თეგეტა მოტორსი"

ქ. თბილისი, დიღმის მასივი VI კვარ. კორპ.22ბ
საიდენტიფიკაციო ნომერი 202177205,
სს „თიბისი ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი,
ბანკის კოდი TBCBGE22,
ა/ანგარიშის №GE80TB0600000024467853

გენერალური დირექტორი

გიორგი მშვილდაძე

ბ.ა.